წელიწადი პირველი — № 2. ნომერი 3 კაპეიკი ხუთშაბათი, 11 მაისი 1906 წ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2 ს.; საღამოს 5 ს.—7 ს.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

ზმა

ყოველდღიური გაზეთი

გაზეთი ღირს: 1 წლით . . 5 მ. — კ.
„ „ 6 თვით . . 2 მ. 50 კ.
„ „ 3 „ . . 1 მ. 50 კ.
„ „ 1 თვით . . — 50 კ.
ცალკე № „ . . . . — 3 კ.
წლის დამლევამდის . . . 3 მ. — კ.

შინაარსი:

1) ვინ არის ჩვენი მტერი? 2) ღლევანდელი ვარამის გამო. 3) ვინა ვართ ჩვენ? 4) ფელეტონი. 5) ახალი ამბები. 6) პრესსა. 7) დეპეშები.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ არის ჩვენი მტერი?

ყველა ის, ვინც თავისუფლების მტერია.

ვინ არის თავისუფლების მტერი?

რა მოგახსენოთ!

სად არის ის?

ყოველგან.

რა სახისაა?

რა მოგახსენოთ! მიჭირს თქმა, იმიტომ რომ დღეს ყველაფერს მისი, ან მას ყველაფრის სახე აქვს.

მაგრამ ვინ არის ჩვენი მტერი?!

—ჩვენი მტერია ის ცის პირველი ბატონი, რომელიც ვითომ ჰქმნის... მაგრამ მასხარად იგდებს ადამიანს...

— ჯერ ჰქმნის დაშემდეგ სცდის ადამიანს!

ის, ვისიც პირველობა, მადლი, ჩვენთვის სამართლად გამხდარა.

ის, ვისიც კულტი, თაყვანისცემა ყველა სიქველის და სათნოების სინომია.

ის, ვისი სიკეთე კაცს აძლევს სიბოროტის თავისუფლებას.

ის, ვისი შურის ძიება დაატყდება კაცს, რომელსაც უარს უყოფს მადლში.

ის, ვინც უკვდავია, მაგრამ მოკვდა-კი.

ის, ვინც მომაკვდავ კაცად იქცა და იმავე დროს ზეციურ მამასთან ერთად მუდმივად თანაარსებდა.

ის, ვინც შეერთებულია თავის შვილთან სული წმიდის საშვალებით, იმ სულის-წმიდით, რომელიც მამაა ზეციურ მამის შვილის.

ის ხიმერიული სამება ერთ-არსება, რომლებიც სრულიად განსხვავებულნი არიან, განსხვავებულად თაყვანცემულნი, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენენ ერთს.

ერთ და იმავე დროს მამას, შვილს და შუამავალს:

— Aegri somnia!

ვინ არიან ჩვენი მტრები!?

ისინი ვისიც ქრისტიანული დაპირებანი უღღეოთ შობილნი გამოდგენ.

ის, ვინც ველარ მოსულა ღრუბელზე ქექა-ქუხილით როგორც თვით მპყრობელი მსაჯული.

ის ვინც ვერ შესძლო აღედგინა, როგორც სხეული, ის სულიც...

— მოწმე სასაფლაოა.

ის, ვის ბატონობის, მეუფების მიუხედავად სიკეთე და ბოროტება დედამიწაზე განაგრძობენ მორიგეობას...

მონობა—მძვინვარებას.

მოყვასი მოყვასის სიძულვილს!

ისინი ვინც შეიმოსენ საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველად და ცივილიზაციის, პროგრესის დამქცევლებათ: ჭეშმარიტების და სინიდისის თავისუფლების შეურაცხმყოფელათ, თავისუფლების ჯალათებათ და ადამიანურ ღირსებათა მესაფლავეებათ.

ისინი, რომლებმაც დაინახეს პრაკტიკულ სამართლად და წესად ინდივიდუალურ, ოჯახობრივ, ეროვნულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავიანთი, ყოველგვარ ბუნებრივობის დამამახინჯებელი და ანტისოციალური პრინციპები.

ის ვინც გამოიჩინა მოუთმენლობა და გაუტანლობა, ფანატიზმი და უგუნური პატივ-მოყვარეობა.

ისინი ვინც იქადაგა სიყვარული და განახორციელა უმსგავსო დევნა, იქადაგა სიმართლე და შემოიღო პირ-მოთნეობა, ორპირობა, იკისრა ლატაკთა ქომაგობა და მიითვისა არა მხოლოთ ლატაკთა ნაფლეთები არამედ მისი გვამიც—მკვდარი და ცოცხალიც, მისი სულიც—საღი და გარყვნილიც.

ისნი ვინც სადი კაცობრიობა თავისი გაიძვერული ექსპლოატაციით ჩააგდო სირეგვნეში, ბავშვობაში, ვინც სიყვარულისგან სიძულვილი შვა, ვინც შეჰქმნა ხანგრძლივი მწარე ჰაოსი და მოახვია კაცობრიობის უბადრუკ, მისგანვე გამოლაყებულ თავს... ვინც ადამიანი ჩააგდო გონებრივ სიბნელის ქაში, ზნეობრივ გათახსირების მოუშორებელ ტალახში და მოქმედების არა რაობის ბნელ, უკუნ სამარეში.

ვინ არიან ჩვენი მტრები!? ის სარწმუნოება, რომელიც თავმჯდომარეობდა შობას თანამედროვე საზოგადოებისას.

ის, ვინც თავის დოკტრინებით, თავის პატივ-მოყვარეობით, მტარვალობით, თავის საზიზღარ ჩამომავლობით იყო და არის აღმზრდელი კაცობრიობის—უგლახესი აღმზრდელი, რომელიც ზრდიდა მძლეველთ და ძლეულთ, ვინც მტარვალთ ასწავლიდა მტარვალობას და დამონებულთ მორჩილებას, დამცირებას... ვინც მტარვალთ უმორჩილებდა მონათა სულს და რომლებსაც მტარვლები უმორჩილებდა მონების სხეულს.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ეკლესია, რომელსაც იმოდენი ცრემლი მაშვრალთა არ შეუშრია, რამოდენიც დაალვრევინა; რომელსაც დამონებულთა იმოდენი სისხლი და ცრემლი დაუღვრია, რამოდენიც შეუშვრია დამმონებელთათვის.

ის, რომელსაც ქვეყნად იმოდენი სინათლე არ გაუვრცელებია რამოდენიც სიბნელე და წყვდიადი, რომელიც მუდმივ წყვდიადში ემსახურებოდა თავის მართლა წყვდიად, მახინჯ ეგოიზმს.

ის, ვინც თავს იქებს იმით, რომ ამბობს მე ზნე-ჩვეულებანი გავაფაქიზე და გავარბილეო, გული ადამიანის მოვარბილე გავანაზეო, ენება დავაცხრე დ ვასწავლე ხალხს უთვალავი სიკეთეო, მაშინ როდესაც არასოდეს არ გაუქურდავს აღმზრდელს აღზრდილი ისე, როგორც ამათ; მაშინ როდესაც იმათ ვისაც მორჩილებას, უიმედობას ასწავლიდა, მიჰყიდა სასინელ ძვირად ნუგეში...—მიუთითებდა, უჩვენებდა ცას და თვითონკი ეპატრონებოდა მიწას.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ და ის, ვინც ამბობს, რომ შაინახა დედანები, გუჯრები და სხვა გონებრივი ძეგლები, მაგრამ ამის მაგიერ-კი იმან ამოფხიკა მეტი ხელთნაწერი, ვინემ, მისცა ვისმეს წასაკითხად, ვინც იმის მაგივრად, რომ აზროვნება და მეცნიერება აეგულიანებია, აკრძალა ისინი რწმენის და ავტორიტეტის უმსგავსო სახელით... ის, ვისი სურვილის წინაალმდეგ გონებამ ივარჯიშა და აჯანყდა.

ის, ვინც იმ თანასწორობისთვის, რომელსაც ცათა შინა ამყარებდა, ხელს არ ანძრევდა მიწაზე დასამყარებლად და მის განხორციელებას, ისეთ უადგილო ალაგას, როგორიც დედამიწაა, ყველაფრით ხელს უშლიდა.

ის, ვინც ყოველთვის და ყოველგან მოურიგდა პრივილეგიას, შეთანხმდა მტარვალებთან, გაწვრთნა დამონებული, დასცა ადამიანის სული და ბუნება, გარყვნა ოჯახი, დაახშო ყველა ჭუჭუტანა, საიდგანაც შესაძლებელი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში სინათლის შუქის შეპარვა... სამაგიეროდ გაწვრთნა, დაახელოვნა და აკურთხა მიწიერი მონების მკაცრი და შეუბრალებელი ბატონი ზეციერი ბატონის დახმარებით, სახელით.

ვინ არის ჩვენი მტერი!? ვინ და ზეციერი ბატონი.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ის, ვინც, თუმცალა უსულო, მაგრამ ცოცხალ ადამიანის სისხლის მწოველი, პიროვნების ნების შემმუსრელი, პოლიტიკურად მისი გამძარცველი, პიროვნებისაგან ბევრის მომთხოველი, ყველაფრის ერთ ყალიბში ჩამომსხმელი, ყველაფრის ერთ სარქველის, ქვეშ მომქცევი...

— პიროვნების უპიროვნობა, საზოგადოებრივ ძალთა მფლანგველი —სახელმწიფო.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ის, რომლისთვისაც ისტორია მუდამ იძულებითი, ძალ-მომრეობის ორგანიზაციის განხორციელება იყო.

ის, რომლის არსებობა—იძულების განხორციელება იყო, არის და იქნება შეუძლებელი, თუ ძალადობის ორგანოები ჯარი, პოლიცია, ჟანდარმები, ჯაშუშები და „ჩინოვნიკობა“ არ ეყოლება.

ის, რასაც სახელმწიფო ჰქვია და რომელიც შეუძლებელია ჩამოთვლილ ორგანოებ მოკლებული ისე, როგორც ადამიანი უხელოდ, უფეხოთ, უთავოდ, უთვალოდ.

ის, რაც უსულოა და უგუნური, მაგრამ აქვს თავი—სასულიერო წოდება, მთავრობა, თვალი—ჯაშუშები და პოლიცია, ხელები—ჯარი, ფეხები „ჩინოვნიკობა“, ბიუროკრატია.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ის, რომელიც ჯარის, პოლიციის და სხვა თავისი მაიძულებელ, დამასახიჩრებელ ორგანოების მოსპობასთან ერთად ისპობა თვით; რომელიც სხვასთან ერთად ჰკარგავს მნიშვნელობას ტერიტორიალურ პრინციპისას და საფუძველს სახელმწიფოებრივობისას...

— ჭირი კაცობრიობის, რომელიც ირღვევა თავისი უარყოფითი ორგანოების საერთო ურთი-ერთობით— ელემენტების დარღვევასთან ერთად.

ის, რომელიც განახორციელებს თავისი უარყოფითი ძალებს ხალხის დაჩაგვრით, პროგრესის დაბრკოლებით და თავისუფლების გათელვით; რომელიც საზოგადოებრივობის წინააღმდეგ დაწესებულებას წარმოადგენს...

— საზოგადოების უმცირესობის ბატონობას მთავრობაში უმრავლესობის საშვალებით.

ვინ არის ჩვენი მტერი?

ვინ და სახელმწიფო—მიწიერი ბატონი.

ალი:

დღევანდელი ვარამის გამო

დაიწყო არჩევნები... დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა ყველგან გამოუ ფენიათპარტიებს განცხადებები. დაქირავებული ბიჭ-ბუკები ქუჩებშიაც გაჰყვირიან: „ჩვენი პარტიის კანდიდატები აირჩიეთო“. ერთის სიტყვით ყველა ამოძრავდა. გაჩუმებულნი არიან მხოლოდ ისინი, რომელთაც დედა-მიწის ზურგზე ნამდვილი ბედნიერების დამყარების პარლამენტის საშუალებით იმედი არა აქვთ, რომელთაც ჭგონიათ, და სამართლიანადაც, კაცობრიობის წესიერი ურთიერთობა დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაყვლეფილთა ძალები სძლევენ მჩაგვრელებს და სრულიად დაიმორჩილებენ მათ; როდესაც მოისპობა ყოველივე ბოროტების მომგლინებელი წყარო-კერძო საკუთრება...

მაგრამ არჩევნების სარბიელი ერთგვარ ენის ულვიძებს ადამიანს. თავის მოყვარეობაა, პატივ მოყვარეობაა თუ რაღაცა, ჯანდაბა, ყველას ბრძავებს და საერთო ფერხულში აბამს.

ახლაც ასე მოხდა.

ვინ იფიქრებდა, რომ პარტიები, რომელნიც აქტიურ ბოიკოტის მომხრენი იყვნენ, ფეხის ხმას აჰყვებოდნენ. კადეტების „გამარჯვებამ“, რევოლიუციის „დამარცხების“ გამო მოპოვებულმა, მოსვენება არ მისცა ჩვენს ეგრედ წოდებულ სოციალისტურ პარტიებს და დიდი ორონტრიალი აატეხინა. შეხედეთ, რას დამსგავსებიან... ნამდვილი ქარვასლის ნოქრები და ვაჭრები მოგაგონდებათ. რაღა ამათი ძახილი: „ჩვენთან მობრძანდით, მაღაზიაში ყვენ ყოველსავე სავაჭროს ჰპოვებთ, რომელიც კი გსურთ!“ და რაღა პარტიების მოწოდება: „აირჩიეთ ჩვენი კანდიდატები; მხოლოდ მაშინ დადგება ქვეყნიერებაზე ბედნიერი დრო“!

მართლაც!.. ეს საშინელი ცილის-წამება ერთი პარტიისგან მეორეს შესახებ შეთხზული და გავრცელებული; ეს მოტყუება ხალხისა; მეტადრე მისი მშრომელ[illegible]ოსა, ეს დაპირებას, რომ მიანიჭებენ მას პარლამენტის საშუალებით ბედნიერებას; ეს ლანძღვა-თრევა; ეს სამარცხვინო ბლოკები, ცხადად და უჩინრად შეკრული,—ყველა ეს ნუთუ არ მოჰგვრის ზიზღს კაცობრიობის ასეთ გათახსირების გამო მას, ვინც კი ჯერ კიდევ არ არის დაბრმავებული გონებრივ და ზნეობრივად. შეხედეთ ამ სოციალისტურ პარტიებს!...

ჩვენ კადეტებზე აღარ ვლაპარაკობთ; რადგანაც არავისათვის არ უნდა იყოს საიდუმლო, რომ ამ პარტიას შეადგენენ ნამდვილი მსხვილი ბურჟუები. მეტადრე აქ ჩვენი განაკიდე მხარენი. ყოველ[illegible] საზიზღარი ელემენტი, სულ-მდაბალი, შეშაარა, ჩარჩი, ხალხის მოღალატე ცინუკურად მიეკედლა ამ პარტიას. ამისთანა პარტიას არც ეკიერნება, რატომ ზნეობრივ საშუალებას არ მიჰმართე არჩევნების დროსაო!.. მაგრამ ეს სოციალისტური პარტიები,—ამათ რაღა დაემართა?!.. ამათი ფანდები, ბრძოლაში ხმარებული, ეშმარიტად გულს უმღერევს ადამიანს, რომელიც ჯერ არ არის დაბრმავებული პარტიულ ენებათაგან. თქვენ მარტო ეს „ძლევა-მოსილი“ სოციალ-დემოკრატიული პარტია აიღეთ. რა ფანდებს არ მიჰმართა მან ამ საარჩევნო ბრძოლაში. ოლონდ კი როგორმე გაეწბილებინა კარგა ხანია მისგან ათვალისწუნებული სოციალისტ-ფედერალისტები, ის არ მოერიდა არავითარ საშუალებას.

A la guere, comme à la guerre —გადასწყვიტა მან და რაც სიბინძურე ჰქონდა გულში ჩამარხული, ყველაფერი გადმოალაგა. ის არ მოერიდა იმასაც კი, რომ პარტიული ანგარიშის გამო, მოპირდაპირე პარტიისათვის დაეწამებინა სომხების წინააღმდეგ ხარ ამხედრებული, გსურს ისეთივე ბრძოლა აუტეხო, როგორც მაჰმადიანებმა აუტეხესო. „კაცობრიობისათვის ბედნიერების დასამყარებლად“ მოვლინებულმა პარტიამ თავის თავს აკადრა ორ ხალხს შორის შური, ღვარძლის თესლის გადაგდება, ოლონდ-კი თვითონ რამენაირად გაეტანა ლელო საარჩევნო ბრძოლის ველიდან. ამაზე მეტი ზნეობით დაცემა შეიძლება. განა? სირცხვილი, სირცხვილი თქვენ! თქვენ, რომელთაც თავი მოგაქვთ სოციალისტებათ! თქვენ, რომელთაც გაგიხდიათ მონოპოლიათ სოციალიზმი! თქვენ, რომელნიც ხილულთ აბრმავებთ განზრახ, რომ რა არის თქვენი მხარე დაიჭიროს, გაბერილ ფრაზებისაგან გაღალულებმა, ან რა გრჯით თქვენ „სოციალისტებო“! დაე შევიდნენ რუსეთის სათათბიროში ყველა დემოკრატიული ელემენტები, დაე მათ გაუწიონ მთავრობას ოპოზიცია? თქვენ, სოციალისტებს რა მიგარბენინებთ იქითკენ. იქ რა უნდა გააკეთოთ? განა არ იცით თქვენ, რომ ორში ერთი მოხდება: ან მთავრობა არაფერს არ შეიწყნარებს, რასაც სათათბირო დაადგენს, ან და მთავრობა, მოჰყვება ოდნავ „საერო ნებასა“: სათათბიროში გაბატონებული პარტიაც შერიგების ხელს გაუწვდენს მას რომელიმე კომპრომისის დასადგენად.

ორივ შემთხვევაში,—თუ თქვენ სოციალისტები ხართ; ადგილი არ უნდა გქონოდათ—სათათბიროში. მაგრამ, რა უნდა მოგკითხოთ თქვენ, რომელთაც იმისიც კი შეგეშინდათ, რომ ამომრჩევლებისადმი მიმართულ განცხადებაში დამფუძნებელ კრების აღნიშვნაც ვერ გაბედეთ, იმის აღნიშვნა, რითაც ყურები გამოუქედეთ ხალხს მაშინ, როდესაც თქვენ „ბატონობდით“, მთავრობა კი მისთვის გამარჯვებულ დროის მოლოდინში. ყურს გიგდებდა. ან იქნება თქვენ ახლანდელ სახის სათათბიროთიც კმაყოფილი ხართ? თქვენ უკიერნებთ „კადეტებს და რადიკალებს“, მშრომელ ხალხს ღალატობთო. და თან თქვენც ღალატობთ მას. ღალატი არ არის, განა თქვენი ახლანდელი ტაქტიკა!?.. ხალხს ჰგონია, რომ ეკონომიური შვება მიეცემა მაშინათვე, რა წამს შებრძანდება პარლამენტში „თქვენი უდიდებულესობა“. შესდეგით, მოიფიქრეთ! რა არ მოიმოქმედეთ?! ყოველგვარ საზიზღარ საშუალებას ხმარობთ: უბადრუკ ხალხის დაშინებას, ძალ-დატანებას ამომრჩევლებზე, ცილისწამებას და სხვ., ოლონდ კი თქვენი მომხრეები გაიყვანოთ. რათა? რისთვის? რასაკვირველია, მხოლოდ იმისთვის, რომ ხალხი მოატყუოთ და უფლება—ძალა ხელში იგდოთ. აი რა გაინტერესებთ! თქვენ ეს ყოველის ფრის გამრყვნელი ელემენტი-ძალა გინდათ. თუ ეს არ არის თქვენი სურვილი; მაშ, რად სწამებთ ცილს, რად გინდათ ძალით გაუუჩება იმათი, ვინც საჯაროდ გაიძახის, რომ პარლამენტი არ იხსნის მუშა ხალხს ვაებისაგან, რომ ამისთვის არის საჭირო დიდი ბრძოლა და ამ ბრძოლისათვის აუცილებელია შესაფერი მომზადება, ძალების დაროზვა. ამისთანა ქცევით ხომ თქვენ არ ჩამოუვარდებით არაფერში ბურჟუაზიულ

ფელეტონი

მეცხრე მოგონება 1848 წ. მოძრაობიდან და მწარე ფიქრები პეტერბურგის დუმაზე.

„Wir wollen russich sprechen“.

აი უნებლიეთ ხალხის გულიდან ღრმათ ამონაკვნესი სიტყვები!

მაშინ, როდესაც ვენის პარლამენტში ორატორთა ლაყბობას დასასრული არ ჰქონდა, როდესაც სხვა-დასხვა პარტიათა წარმომადგენლები ერთი ერთმანეთს ეცილებოდნენ, აბა ვინ იტყვის უფრო ლამაზ სიტყვასაო, მაშინ, როდესაც პარლამენტის დარბაზის ჰაერში ყოველი სახალხო ცოცხალი აზრი შეუბრალებლათ კვდებოდა, როდესაც ავსტრიის პროლეტარიატი დარწმუნდა, რომ პტყელ-ბტყელი სიტყვები ბებელ-ადლერებისა მათ მდგომარეობას არ აუმჯობესებდა ცოტათი მაინც საგრძნობელათ და მაშინ, როდესაც ვენის პროლეტარიატმა სრულიათ მოულოდნელათ დაინახა, რომ რუსეთში მუშა ხალხმა გამუდშებული რევოლიუციონური ბრძოლით უკვე მოიპოვა იმგვარი ფორმა არჩევნებისა, რომელს ავსტრიაში დიდი ხანია პარლამენტის საშვალებით თხოულობენ, მაშინ, როცა მუშა ხალხმა ყველა ეს გაიგო ს.-დ-ების და პარლამენტის სხვა პოლიტიკურ პარტიების დაუხმარებლათ, მაშინ მან გასულ წლის დამლევს ვენის კოხტა ქუჩებში მრისხანე ხმით გაახსენა ბურჟუებს და უფლების მქონეთ ბარიკადების დრო და ღრმათ ამოიკვნესა:

„wir wollen russich sprechen“ ე. ი. ჩვენ გვინდა რუსულათ ლაპარაკი. ყველასთვის ადვილი მისახვედრია, რას ნიშნავს ეს რუსულათ ლაპარაკი. კაი ხანია მას შემდეგ, რაც რუსეთში ხალხსა და მთავრობას შორის შუამავლის როლს ტყვია ასრულებს, მხოლოთ ამნაირმა დამოკიდებულებამ რუსეთის ისტორიაში დაუვიწყარ 9 იანვრის შემდეგ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ამის შემდეგ რევოლიუცია წარმოსდგა ჩვენ წინ სისხლში მოსვრილი სახით. აი ამ დიდი სურათით გატაცებული თუ შერცხვენილი ვენის პროლეტარიატი, რომლის დიდი ნაწილი სოც.-დემ. ორგანიზაციაშია, თუმცა უიარაღოთ გამოვიდა ქუჩაში და ერთ ხმათ მოითხოვა სულ ცოტა რამ, მხოლოთ საარჩევნო რეფორმის მოხდენა. თითქოს ამის მეტი მას არაფერი სჭიროდეს ან და არჩევნების რეფორმა იყოს მისი პირველი მოთხოვნილება. ცხადია რომ სოციალ-დემოკრატების შეგნებული შუბლით შეუგნებელ კედლის განგრევის აგიტაციამ აქაც მოიტანა თავის მწარე ნაყოფი. ეს მოსალოდნელიც იყო, აქ მხოლოთ ისაა აღსანიშნავი, რომ 1848 წ. შემდეგ ვენის პროლეტარიატმა პირველათ თავის მოთხოვნილებას რევოლიუციონური ელფერი მისცა. მთავრობა შეკრთა დიადი სურათის დანახვაზე, რადგანაც ქუჩაში გამოსული ასი ათასი მუშა მისთვის ბევრათ უფრო საშიშ და საჭირ-ბოროტო კითხვას წარმოადგენდა, ვიდრე სოც.-დემოკრატების სიტყვების რახა-რუხი პარლამენტში. მინისტრ-პრეზიდენტმა გაუჩმა კანონ-პროექტი სწრაფათ მოზილა და წაიღო გამოსაცხობათ პარლამენტში და რაც შეიძლებოდა ცდილობდა მალე გადაეტანა საარჩევნო კითხვის საქმე ქუჩიდან პარლამენტში, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ პარლამენტში საქმე ისე დატრიალდებოდა, როგორც მას უნდოდა. ყოველ შემთხვევაში ქუჩა მით იყო საშიში, რომ ქუჩაში მუშის მოთხოვნილებას ძრიელ შორს შეეძლო წასვლა. პროლეტარიატმა დაუჯერა მინისტრის დაპირებებს და მიანდო თავის ბედი პარლამენტს: დღეს ყველამ ვიცით, ჯერ-ჯერობით რით გათავდა ეს კომედია. ჯერ დაამახინჯეს, როგორც კი შეიძლება, საყოველთაო არჩევნების კითხვა და შემდეგ, როცა იდუმალი განზრახვანი სამინისტროსი არ გავიდნენ, ეს დამახინჯებული კანონ-პროექტი ყურეში მიაგდეს და მოულოდნელად პარლამენტი დახურეს. რა დასასრული მიეცემა ავსტრიის საარჩევნო მოძრაობას, ადვილი გამოსაცნობი არ არის, ის კი ცხადია, რომ ვენის მთელი ავსტრიის პროლეტარიატს თავისი სურვილი რომ სულ განეხორციელებია და მართლა

პარტიებს, რომელთაც სურთ თვითმპყრობელობის ნაშთებზე გაბატონება. თქვენი საიდუმლო სურვილიც ეს გაბატონებაა. ამიტომაც ისედაც დაბეჩავებულ ხალხს უფრო აბრმავებთ. თქვენ გსურთ ბიუროკრატიისავით მბრძანებელი გახდეთ ხალხისა, როგორც მშრომელი ისე უსაქმურ მისი ნაწილისა. მაშ, შორს ამ მშრომელ ხალხისაგან თქვენ, რომელნიც მოწადანებული ხართ გონება დაუხშოთ ხალხს, აკითხოთ მარტო ისეთი ნაწერები რომელნიც თქვენ გაბატონებას ემსახურება. გზა დაუცალეთ იმათ, ვისაც სურს სრულებით უანგაროდ გონების გახსნაში დაეხმაროს ხალხს, შეაგნებინოს მას ნამდვილი სოციალისტური იდეალი და მოაწყობინოს მისი ცხოვრობა ისე, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც ბრმა დოქტრინერები უბრძანებენ. მხოლოდ თავისუფლად გონების მხრით განვითარებული ხალხი მოაწყობს წესიერად თავის ცხოვრებას...

ბრძანება და ძალ-დატანება ვერაფერი მოსახმარია სოციალიზმის დამყარებისათვის. ჭეშმარიტ სოციალიზმს არავითარი კავშირი არა აქვს ბატონობასა დ ძალ-მომრეობასთან!.. მაშ, შორს ჩვენგან ყოველგვარი თვით-მპყრობელობა, ბიუროკრატიული იქნება იგი, თუ პარტიული!.. გაუმარჯოს მხოლოდ გარევოლიუციონერებულ ხალხს! გაუმარჯოს მომავალ სოციალურ რევოლიუციას!..

ფელიქს.

ვინა ვართ ჩვენ? რა გვინდა ჩვენ? ვის მივმართავთ და ვუხმობთ ჩვენ?

ჩვენ მივმართავთ ხალხს, წილმოვლებულ, უსვეო და განადგურებულ გლეხობას, ქარხნების, სახელოსნოების, რკინის გზის, ნავთსადენის ... მუშებს... მივმართავთ იმათ ვისი ხელითაც შექმნილია ქვეყნის სიმდიდრე, რომელთა შრომა არის გონებრივი და საზოგადოებრივი, ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების წყარო.

მათი მეცადინეობის წყალობით ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში და გლეხობის აგრარულ მოძრაობის, და მუშათა კლასის დიდებულ სერთო გაფიცვით სასიკვდილოთ დაიჭრა უუფლებობის და თვითნებობის წყობილება, რომელიც სჩაგრავდა და არცხვენდა რუსეთს და ჩვენ მშვენიერ სამშობლოს. თავდალმა დამხობილ გველეშაპზე, ყოვლად შემძლე ბიუროკრატიის მაგივრად სახელმწიფო სათათბირო პეტერბურგში ამყარებს წარმომადგენლობითი მთავრობის შენობას. ბევრ მშვენიერ აზრებს ხალხის უფლებების და საჭიროებათა თაობაზე გამოსთქვამენ ხოლმე სახალხო რევოლიუციით მოპოვებულ სათათბიროს დეპუტატები. აი, ამ დეპუტატებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ დავიწყება, რომ ხალხმა მოიპოვა სიტყვის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა თავის საკუთარ განადგურებით და სისხლით. აი ეს პირველი არჩეულნი ხალხისა მზად არიან სრული გულ-წრფელობით, რომელშიაც ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, მოჰკიდონ ხელი რუსეთის ცხოვრების ყოველ მხრივ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ განახლებას.

თავისუფლება პიროვნების და თავისუფლება საზოგადოებრივი; თანასწორობა ყოველ ადამიანის კანონის წინაშედ, თვით მართებლობა ადგილობრივი და საერობო, თვითმმართველობა საოლქო და თუნდა ეროვნული, მუშების დაზღვევა, რვა საათის სამუშაო დღე, გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოება, აი ის რეფორმები, რომელიც დაისახეს თავის მიზნათ ხალხის წარმომადგენლებმა დღევანდელი ცხოვრების გასანაღდებლად, აი ის ხარტია, რომლის დასამყარებლად მათ ფიცი დასდვეს არ დაზოგონ თავისი ძალღონე და თუ კი საჭიროება მოითხოვს სიცოცხლეც შესწირონ ამ „დიად იდეალის“ განხორციელებას. მაღალი და კეთილშობილური მისწრაფებანია! თუ კი ხალხურ რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გატარებული დეპუტატები შესძლებენ განახორციელონ დასახული რეფორმები: რუსეთი შეიქმნება პოლიტიკურად თავისუფალი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად. დიახ, კონსტიტუციონურ ხალხთა ოჯახს შეემატა კიდევ ერთი წევრი განახლებული და თავისუფალი რუსეთი. მაგრამ... მაგრამ ამ თავისუფალ ხალხში, რომელთაც თავისუფალი დაწესებულებანი მოიპოვეს საუკუნოების განმავლობაში დაუცხრომელი ბრძოლით, ეხლაც კი განუწყვეტელი და სასტიკი ბრძოლაა ატეხილი შრომის სრული განთავისუფლებისათვის და აგრეთვე მჩაგვრელთა და მმართველთა ზეგავლენისაგან პიროვნების განთავისუფლებისათვის. იქ, თავისუფალ ქვეყნებში, მშრომელი და მწარმოებელი კლასსები, ესე იგი ხალხი, დაუღალავათ იბრძვის, რომ თავისუფალ და თანასწორ უფლებიან პიროვნებათ შეძლება მიეცესთ ყოველ მხრივ ჰარმონიულ განვითარებისა თავისუფალ და ავტონომიურ ასსოციაციაში, ამ ბრძოლას ჩვენი უფროსი ძმები სოციალურ ბრძოლას უწოდებენ. იდეალი მათი სოციალიზმია. სოციალიზმი შეიმუშავა თავისუფალმა და მოწინავე ნაციებმა—ინგლისმა და საფრანგეთმა. ნახევრად თავისუფალმა გერმანიამ კი წარყენა სოციალიზმის დიადი იდეა მით რომ მან ამ სახელით მონათლა ის თავისუფალი პოლიტიკური დაწესებულებანი, რომელიც კარგი ხანია მოიპოვეს ინგლისელებმა, ფრანგებმა და შვეიცარიელებმა. მაგრამ სოციალიზმი მოითხოვს არა უბრალო თანასწორობას სასამართლოს წინაშე, არა რვა საათის სავალდებული სამუშაო დღე, როგორც ეს გერმანელებს და სოციალ-დემოკრატებს ესმისთ, არამედ ეკონომიურ თანასწორობას, მოითხოვს მოისპოს მუშის შრომა მეპატრონეთა სასარგებლოთ, განთავისუფლდეს ადამიანი ყოველგვარ ექსპლოატაციისაგან, როგორც კერძო მესაკუთრე მეპატრონეთა მიერ ისე სახელმწიფოს მხრივ.

როდესაც სოციალური, იგივე საზოგადოებრივი, იდეა გამეფდება, მაშინ ადგილი აღარ ექნება არც კერძო საკუთრებას, არც ექსპლოატაციას და არც სახელმწიფოს. აი ამ ნაირ საზოგადოებრივ წყობილების განხორციელებას ვემსახურებით და ვეტრფით ჩვენ. აი ჩვენი ბრძოლის მიზანი, და აი ამიტომ, მშრომელო ხალხო, მოგიწოდებთ, მაგალითი აიღოთ ფრანგ ამხანაგებისაგან მუდამ მზათ იყოთ დაიცვათ არა მარტო თავისუფალი პოლიტიკური დაწესებულებანი, არამედ მედგრათ იბრძოლოთ იმ სოციალურ სიმართლის და სამართლიანობის დასამყარებლად, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებას ქვაკუთხედათ დაედება ეკონომიური თანასწორობა თავისუფალ, განათლებით და თანასწორ უფლებით აღჭურვილ მოქალაქეთა.

კახელი.

რუსულად დაეწყო ლაპარაკი, უფრო კარგათ წაიყვანდა საქმეს.

რუსულათ ლაპარაკის სურვილი სრულიათაც არ იქნებოდა საჭირო, რომ წინამძღოლთ ხშირათ აეხსენებია მათთვის წასული რევოლიუციონური ხანები და განსაკუთრებით გაცნობთ 1848 წლის მოძრაობა თავისი ღირსება—ნაკლულევანებით, მაგრამ მაგარი ისაა, რომ დასავლეთ ევროპის (ახლა რუსეთშიაც). ს.-დ. დღეს პარლამენტის რეფორმებისი პარტიაა და არა რევოლიუცენური. სოც.-დემოკრატების აზრით მათი მიზანი სოციალური ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნაა. მაგრამ რა გზით? ბევრი მათგანი კიდევაც გიპასუხებთ—რევოლიუციონური გზით. მხოლოდ, რომ უკვირდება კაცი მათ მოქმედებას ამ უკანასკნელ 30-40 წლის განმავლობაში, მათი რევოლიუციონური მოქმედება საარჩევნო კენჭების თვლაში და ხელში მიჩეჩებაში და პარლამენტში ეგრედ წოდებულ მინიმუმის მოსაპოებლათ ბრძოლაში გამოიხატება. პროგრამმა—მინიმუმი, როგორც მოგეხსენებათ, არის უბრალო დემოკრატიული პროგრამმა, მას სოციალიზმისა, რასაკვირველია, არაფერი აცხია, მხოლოდ ამ პროგრამისათვის არიან ისინი თავგადადებული, მხოლოდ მის განხორციელებაზე ოხრავენ მუდამ ჟამს, მხოლოდ მაზე ლაპარაკობენ ეგრედ წოდებულ ინტერნაციანალურ კონგრესებზედაც მას შემდეგ რაც ანარქისტები გამოეყვნენ, მათ კრებებზე კითხვათა სიაში ერთი ნამდვილი სოციალისტური კითხვაც კი არ მოიპოვება. ერთი სიტყვით პროგრამმა-მინიმუმი გაუხდიათ მათ მიზნათ. ახლა ერთი მითხარით, რანაირათ არის სოც.-დემოკრატია რევოლიუციონური და სოციალისტური პარტია, თუ კი ის არც სოციალიზმს და არც რევოლიუციას არ ემსახურება დღეს?! უთუოდ მათ სხვანაირი, არაჩვეულებრივი ლოღიკა აქვსთ. ჩვენ კი ამ ჟამათ დავანებოთ მათ თავი და გავიხსენოთ მოკლედ 1848 წლის მოძრაობა და ვეცადოთ შევიგნოთ, საჭიროა თუ არა დღესაც ძველებურათ „რუსულათ ლაპარაკი“ ან თუ პეტერბურგის დუმაზე დავამყაროთ ჩვენი იმედები.

1848 წ. მოძრაობას გერმანიაში და ავსტრია-უნგრეთში არ შეიძლება ეწოდოს რევოლიუცია, თუ კი მხედველობაში ვიქონიებთ პ. კროპოტკინის განმარტებას. ამ უდიდესი სოციალისტის და რევოლიუციონერის აზრით რევოლიუცია არის „ძირეული დაქცევა ყოველივე არსებულისა“. („коренная ломка всего существующаго“). სრულიად ამ ფორმულის განხორციელება მხოლოდ სოციალისტურ რევოლიუციას შეუძლია მოახდინოს. და ესა თუ ის საზოგადოებრივი მოძრაობა იმდენათ იქნება რევოლიუციონური რამდენათაც ის უახლოვდება სოციალისტურ რევოლიუციას. ვიხელმძღვანელოთ განმარტებით და გადავავლოთ თვალი 1848 წლის მოძრაობას. ამ დროს ქალაქის მუშა და გლეხები უკიდურეს გაჭირვებაში იყვენ. საზოგადოთ მანქანების და განსაკუთრებით საქსოვი მანქანების გამოგონებამ გამოიწვია რკინის გზების გავრცელებასთან ერთად სამრეწველო რევოლიუცია. სამრეწველო რევოლიუციის შედეგი კი იყო ის რომ ათასობით დარჩენ ულუკმაპუროთ, საქსოვი მაშინები გაცილებით უფრო მალე და უკეთესს საქონელს ამზადებდენ, ვიდრე ხელთმსაქმობნი; თანაც საჭირო მუშების რიცხვი შემცირდა. აუარებელი, მშიერი ხალხი მიაწყდა დიდ ქალაქებს—ვენას, ბერლინს, პრაგას, პარიზს და სხვ. შიმშილისაგან დიდხანს იტანჯებოდა ხალხი. 1847 წ. ზამთარში შიმშილისაგან წარმოშობილი ტიფი მოედო მთელ სილეზიას და ბოგემიას. გამწარებულმა ხალხმა მოითხოვა მანქანების მოქმედების გაუქმება, რადგანაც მათში ხედავდა ის მტერს. ეს მოთხოვნა ბურჟუაზიას სიცილათაც არ ეყო. ბურჟუაზიას პასუხი უფრო ადრე ჰქონდა მომზადებული, ვიდრე მას პროლეტარიატი მოითხოვდა. არხეინათ გადიხარხარა და მიუთითა საზღვარ-გარეთელ კონკურენციაზე.

დონ—ჯან.

ახალი ამბები

— ვაგონ ქვეშ მოყოლილი. გუშინ-წინ ოლგას ქუჩაზე, ზემელის აფთიაქის პირდაპირ, შემდეგი უბედურება მოხდა: ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ბენუა ვერიდან წამოსულა გიმნაზიაში, როცა ვაგონი ვერის დაღმართის პარდაპირ გაჩერებულა, ბენუას ჩამოხტომა მოუნდომებია, მაგრამ ამ დროს ვაგონზე შემხტარა სხვა და ბენუა იმის გამო ისე უხერხულად ჩამოსულა რომ ორ ვაგონს შუა ჩავარდნილა. ბენუა რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა. მოკლული მასწავლებელი 35 წლის კაცი იყო.

—კონსულის მოკვლა. როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, 8 მაისს ღამე მახინჯაურში მოკლული ნახეს ასერიკის ბათუმელი კონსული სტუარტი. მოკლულს ტანზე რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა. მკვლელები დაიმალნენ.

— საიდუმლო სტამბა. ბაქოში პოლიციას აღმოუჩენია საიდუმლო სტამბა. სტამბაში უნახავთ დაბეჭდილი პროკლამაციები და ერთი გატენილი ყუმბარა მაკედონიის ტიპისა. შეიპყრეს ერთი კაცი. ბაქოს გაზეთების სიტყვით, სტამბა ეკუთვნოდა „კომუნისტ-ანარქისტებს“.

— გუშინწინ ღამ სომხების ბაზარზე 4 შეიარაღებული კაცი შევარდა არუთინოვის სადგომში და გაიტაცეს ნაღდ ფულად 300 მანეთი, ნახევარ გირვანქა წმინდა ოქრო და 2 ოქროს საათი. არუთინოვი უცნობთ წინააღმდეგობას უწევდა, რისთვისაც უცნობებმა სუმბუქად დასჭრეს.

— სამხედრო სამართალში. 8 ივნისს კავკასიის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ტფ. რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულის ბესარიონ ძნელაძისა, რომელიც ვოლონოორედლიაიუშჩად იყო მინგრელსკი პოლკში. ძნელაძეს აბრალებენ აგიტაციას და არა ლეგალური ლიტერატურის გავრცელებას ჯარის კაცთა შორის. ძნელაძე შვიდ თვეზე მეტ ხანს იყო დაპატიმრებული—სასამართლომ გადაუწყვიტა 20 დღით ჰაუპტვახტზე დაპატიმრება.

— გუშინ, 9 მაისს, თავ. ვ. გ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით, მოხდა საგანგებო კრება ტფ. საურთიერთო სამეურნეო ბანკის წევრთა. განხილულ იქმნა საკითხი ბანკის ზარალის შევსების შესახებ და დაადგინა, მიიღოს ზარალის შევსების შესახებ გამგეობის მოხსენება. დასასრულ მოხდა არჩევნები მოხელე პირთა. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თავ. ვ. ს. მაჩაბელი. დირექტორის კანდიდატად დასახელებულ იქმნა რამდენიმე კაცი. ყუთი დაიდგეს: გ. მ. ლასხიშვილმა, გ. ყიფშიძემ და ქ მამაცაშვილმა. არც ერთს არ აღმოუჩნდა საკმაო თეთრი კენჭი, ასე რომ ხელ-ახალი არჩევნები ორი კვირის შემდეგ მოხდება.

— 11 მაისს, ვეტცელის თეატრში იმართება დაზარალებულ ქართველობის სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოადგენენ „უბატიოსნონი არ იბადებიან“.

11 მაისიდან თფილისის დასის მსახიობთა ამხანაგობა „ახალი დრამისა“ მიემგზავრება პროვინციებში. წარმოდგენებს გამართავენ ქ. გორს, დ. ჭიათურას, ქ. ბათუმს, ფოთსა და სოხუმს. წარმოდგენილი იქნება შემდეგი პიესები: „პირველი მერცხალი“, „ხალხი“, „მეზობლები“, „ლასალი“ და სხვ. დასში მონაწილეობენ: ქ-ნი იურკევიჩისა, მდივანი, ნებიერიძისა, ჯავახიშვილისა; ბ-ნნი ბარველი, ბაქრაძე, გვარაძე, დადიანი, მუშლაძე, ურუშაძე, შალიკაშვილი და სუფლიორი ბეგლარიძე.

გორის წარმოდგენაში, რომელიც გაიმართება 11 მაისს, მონაწილეობას მიიღებს ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი. წარმოდგენილი იქნება „ხოვრების გმირი“, დრ. კარეევისა.

სოციალდემოკრატები პოლიციელების როლში.

ქუთაისიდან გვწერენ: გუშინ, 9 მაისს, ქალაქის თვითმმართველობის შენობის წინ, სადაც ამ დროს არჩევნები იყო, შეიყარნენ ს. რევოლიუციონერები, დაიწყეს სარევოლიუციო სიმღერა და ამართეს წითელი დროშა. ს.-დემოკრატებმა რომ ეს დაინახეს დაეცნენ რევოლიუციონერებს, დაუწყეს ცემა, და სცდილობდნენ ხელიდგან დროშა წაერთმიათ. ჩხუბმა კარგა ხანს გასტანა. ბღლარძუნ-ჭიდაობაში დროშა სულ ერთიანად დაიხია. ს. რევოლიუციონერებმა ნაკუწ-ნაკუწათ აკრიბეს დროშის ნაფლეთები.

თვით მედროშე რევოლიუციონერი მძიმედ არის დაჭრილი.

პოლიცია არსად სჩანდა—ან კი რა საჭირო იყო!?...

პრესსა

სარწმუნოების გაკოტრება

როგორც გაზეთი „ნაშა ჟიზნ“ გადმოგვცემს, რუსის ცნობილი „წმინდანი“, დეკანოზი, იოანნე კრონშტადელი თავის „მღვთისმშობლით“, „მიქაელ-მთავარ-ანგელოზით“ და „იოანიტკების“ კრებულით მაისის პირველ რიცხვებში პეტერბურგს, ხარების დედათა მონასტერში ყოფილა ჩამომხდარი. მონასტრის კარს დიდძალი ხალხი შეკრებილა დ იოანიტკებიც შესდგომიან „ღვთის-მსახურების“ საქმეს. დაუწყვიათ ხალხში მოწოდებების გავრცელება. ხა-ი აღელვებულა, მოუმწყვდევიათ „ მვარანგელოზი“ და სილებით უც ათ პატივი. პოლიციას ძლივს გამოუგლეჯია გამძვინვარებული ხალხის ხელიდგან „მთავარ-ანგელოზი“, ამავე დროს მახლობლად ჩამოუვლია იოანნე კრონშტადელს, რომლისთვისაც ხალხს ქვებით კარეტის ფანჯრები ჩაუმტვრევია..., როგორაც ჰხედავთ მკითხველო იმ კაცს, რომლის სახელსაც სამღვთო შიშითა და მოკრძალებით იგონებდა რუსეთის დაბეჩავებული ხალხი ეხლა მხოლოდ ქვებს უშენს!.. ვერარც პლეველს ფილოსოფიკაციამ გააცოცხლა მკდარი სარწმუნოება.

რედაქტორ-გამომცემელი **ვ. ი. შალიკაშვილი.**

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშების სააგენტო).

მოსკოვი. 9 მაისი. სახელმწიფო საბჭოს წევრები კრესტოვნიკოვი და შიპოვი, რომლებიც დაბრუნდენ პეტერბურგიდან, გვატყობინებენ რომ სახელმწიფო საბჭომ დროებით უარი განაცხადა კანონმდებლობითი ინიციატივის მიღებაზე რომ, სათათბიროსა და საბჭოს შორის უთანხმოება არ მომხდარიყო.

ოდესსა. 9 მაისი. სამხედრო-სასამართლომ მიუსაჯა ექვსი წლით კატორგა მჭქალაქე ბაზიანს, რომელსაც ს.-დემოკრატიული პარტიის მინდობილობანი სადგურ ადესიდან უნდა გაეგზავნა ბელეცში ექვსი რევოლვერი, 2560 პატრონა, ოცდახუთი პროკლამაციები, და სხვა-და-სხვა რევოლიუციონური ბროშურები.

პოლტავა. 9 მაისი. მირგოროდის საპყრობილიდან გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური დამნაშავენი. პოლტავის სატუსაღო განყოფილებიდან გაანთავისუფლეს სამი პოლიტიკური დამნაშავე.

პარიზი. 9 მაისი. ხვალ ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებული იქნება დეკრეტი იმ კომისიის დაარსებაზე, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კანონ-პროექტის თანახმად თავისუფალ ასსოციაციებს, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, ზოგიერთი უფლებები რომლებიც ეკუთნიან პროფესიონალურ სინდიკატებს.

ეკატერინოსლავი. 9 მაისი. ცნობილი საერობო მოღვაწე კუშჩი და ექიმი კრანცფელდი ხელმეორეთ დაიჭირეს ალექსანდროვსკში დ ჰგზავნიან ჩრდილოეთისაკენ.

პეტერბურგი. საადმინისტრაციო სფერაში მუშავდება საკითხი გაძლიერებულ სამხედრო წესების მოხსნისა.

პეტერბურგი. დღეს მეორომცემა სასახლის განმგებლებს გადასცა საპასუხო ადრესი, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქნას გადაცემული დანიშნულებისათვის.

ფეოდოსია, 9 მაისი. გუშინ ღამის პირველ საათზე მოკლეს სადგურის უფროსი იაკოვენკო, რომელიც ბრუნდებოდა მატარებლის გასვლის შემდეგ თავის სახლში. ესროდნენ რკინის გზის ბაღიდგან. მკვლელები მიიმალნენ.

პოლტავა, 9 მაისი. ულაგო რკინის გზის მოსამსახურეებმა და მუშებმა გაგზავნეს დეპეშა სათათბიროში, რაშიდაც თხოულობენ სრულ ამნისტიას და იმათ მიღებას რომელიც დათხოვნილია მონაწილეობის მიღებისთვის მოძრაობაში.

სტრასბურგი. კარნავალის დროს ერთ კაზარმაში მოხდა ანტიგერმანული დემონსტრაცია, დაითხოვეს ერთი პოლიციელი მარსელიეზის სიმღერის დერიჟორობისათვის. დაკეტეს სტუდენტო კორპორაცია.

ბელოსტოკი. ბელოსტოკის გზაზე ორ ურმით მიმავალ მგზავრებს თავს დაესხნენ, გაიტაცეს რამოდენიმე საქონელი და მიიმალნენ.

კალიშ. გრაფ კელლერის ყუმბარის მსროლელის მონაწილე დაიჭირეს. ყუმბარის აფეთქებით მეზობლების სახლის ფანჯრები ჩაიმტვრა.

პეტერბურგი. ლაკალოვის ფაბრიკის მუშებმა 3000 კაცზე მეტმა შესწყვიტეს გაფიცვა და დაიწყეს მუშაობა უწინდელ პირობებში.

ბელოსტოკი. სასაფლაოს მახლობლად ეჩვეოდა 20 კაცი რევოლვერების სროლას. გამვლელ პატრულმა დაუძახა დაიშალენითო. გაჩაღდა სროლა ამ სიტყვაზე, დაჭრილია ორი სალდათი. სასაფლაოსთან მყოფთაგანი მკვდ-რია ერთი და დაჭრილია ორი.

გ ა ც ხ ა დ ე ბ ა.

ქ. გორი

კლუბის დარბაზში

ხუთშაბათს 11 მაისს

„ახალი დრამის“ ამხანაგობის მიერ

ვ. ს. ალექსი მესხიშვილის

მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

I

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქ. კარეევისა.

II

არივ-დარია

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ. ქ. იურკევიჩისა, ნებიერიძისა, მდივანი, ჯავახიშვილი. ბ.ბ. ალექსი მესხიშვილი, ბაქრაძე, გვარაძე, დადიანი, მუშლაძე, ურუშაძე, შალიკაშვილი. სუფლიორი ბეგლარიძე.

ადგილების ფასი 50 კ. 2 მანეთამდე.

დასაწყისი საღამოს 8½

გამგეობა ამხანაგობისა.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.